

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	17
4. ძირითადი საშუალებები	19
5. მარაგები	20
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
8. საწესდებო კაპიტალი	20
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
10. შემოსავალი	21
11. რეალიზაციის თვითღირებულება	21
12. ადმინისტრაციული ხარჯები	21
14. ფინანსური ხარჯი, ნეტო	22
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	22
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იზი ჩარტერის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს აუდიტის ჩასატარებლად შპს „იზი ჩარტერის“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის ნაწილში – „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფმა ვერ შეძლო 2020 წლის შესადარისი 2019 წლის ბუღალტრული ჩანაწერების სრულყოფილად მოწოდება. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს ყოვლისმომცველ უზუსტობებს, რომლებიც გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 24 დეკემბერი

თბილისი, საქართველო

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	9,506,518	73,590
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,506,518	73,590
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	92,403	39,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	274,311	1,462,405
სხვა აქტივები		-	2,522
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,780,509	459,708
სულ მიმდინარე აქტივები		2,147,222	1,963,965
სულ აქტივები		11,653,740	2,037,555
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	279,305	-
გაუნაწილებელი მოგება		10,449,381	1,568,492
სულ კაპიტალი		10,728,686	1,568,492
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		65,532	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		65,532	
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	847,265	469,063
საგადასახადო ვალდებულება		3,316	-
სესხის მიმდინარე ნაწილი		8,941	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		859,522	469,063
სულ ვალდებულებები		925,054	469,063
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,653,740	2,037,555

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 დეკემბრს:

რატი ძერია
დირექტორი

ბესიკ ბენდელიანი
ფინანსური სამსახურის უფროსი

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

		2020	2019
შემოსავალი	10	34,627,476	20,529,226
რელიზაციის თვითღირებულება	11	(22,753,384)	(19,595,043)
საერთო მოგება		11,874,092	934,183
ადმინისტრაციის ხარჯები	12	(1,223,404)	(692,304)
სხვა შემოსავალი		77,999	2,215
სხვა ხარჯი	13	(803,311)	-
საოპერაციო მოგება		9,925,376	244,094
ფინანსური ხარჯი, წმინდა	14	(187,397)	-
წმინდა ზარალი საკუროსო სხვაობიდან	15	(165,817)	(26,081)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი	4	(515,050)	-
არასაოპერაციო ხარჯები		-	(1,158)
მოგება დაბეგვრამდე		9,057,112	216,855
მოგების გადასახადი		(28,150)	-
წლის წმინდა მოგება		9,028,962	216,855
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		9,028,962	216,855
მათ შორის :			
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი		6,128,096	-
არამაკონტროლებელი წილი		2,900,866	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		9,028,962	-
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,568,492	1,351,637
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		9,028,962	-
გამოცხადებული დივიდენდი		(148,073)	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		10,449,381	1,568,492

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 დეკემბერს:

რატი ძერია
დირექტორი

ბესიკ ბენდელიანი
ფინანსური სამსახურის უფროსი

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		33,560,781	10,133,782
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(19,455,064)	(9,582,171)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული		(1,841,915)	(138,976)
საბანკო გარანტიების განთავსება		(6,500)	-
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(411,329)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან, პროცენტამდე		11,845,973	412,634
გადახდილი პროცენტები		(208,033)	-
მიღებული პროცენტები		34,920	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(15,620)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		11,656,689	412,634
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(11,050,327)	-
ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(11,049,776)	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		5,630,390	-
სესხების დაფარვა		(5,379,019)	-
კაპიტალიდან ფულადი აქტივების გატანა		279,305	12,847
ფულადი სახსრების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან		530,676	12,847
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		1,137,588	425,481
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	459,708	34,227
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე		183,213	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	1,780,509	459,708

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 დეკემბერს:

რატი ძერია
დირექტორი

ბესიკ ბენდელიანი
ფინანსური სამსახურის უფროსი

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იზი ჩარტერი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2015 წლის 03 ნოემბერს საიდენტიფიკაციო კოდით 405123254.

2020 წლის 15 იანვარს კომპანიამ დაარსა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იზი ჩარტერი“ (ს/ნ 405373171), საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს ჩარტერული ფრენების განხორციელება, იჯარით აღებული საჰაერო ხომალდით.

თვითმფრინავი იჯარით იყო აყვანილი უკრაინული ავიაკომპანია „იუჟმაშავიდან“.

ოპერირების ძირითადი რეგიონია ახლო აღმოსავლეთი. ჯგუფი ასრულებს ცოცხალი საქონლის გადაყვანას ერაყის ქალაქ სულეიმანიაში, ასევე შეასრულა რეისები კუვეიტის, ამანის და სხვა მიმართულებებით.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ტვირთის გადაზიდვით და არ ახორციელებს ცოცხალი საქონლის შესყიდვას ან მათთან დაკავშირებულ რაიმე სხვა საქმიანობას.

გარდა ცოცხალი საქონლისა ჯგუფმა შეასრულა რამდენიმე სპეც. რეისი კონკრეტული შეკვეთებიდან გამომდინარე.

ჯგუფის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ფალიაშვილის 83, საოფისე ფართი არის იჯარით აღებული.

ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ტაშკენტის ქ., N 23, ბ. 18

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

წილი%	2020	2019
პაატა კვიფინაძე, პ/ნ 01008004985	10%	10%
კონსტანტინე დავითიძე, პ/ნ 01006004066	21%	21%
რატი ძერია, პ/ნ 01019010505	69%	69%

ჯგუფის საბოლოო ბენეფიციარები არიან ის ფიზიკური პირები რომლებიც ფლობენ ამ კომპანიას.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის აღნიშნული. თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და შვილობილი კომპანიის შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებსა და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეითება მთლიანად.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. განხორციელებული საქმიანობის შედეგად ჯგუფს აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მოცულობითი ძირითადი საშუალებები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, ასევე წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095
საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:	2020	2019
1 USD/GEL	3.1097	2.8192
1 EUR/GEL	3.5519	3.1553

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ჯგუფის ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფის შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხებულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

-
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
 - გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
 - შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შესასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან შემოსავალს იღებს ტვირთების ავიატრანსპორტის მომსახურების მიწოდებით. მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას გამოწერილი ინვოისის საფუძველზე.

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით მომხმარებელთან შეთანხმებული გარიგების საფუძველზე.

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაზრუნვად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ჯგუფის ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

თუ ჯგუფის ძირითადი საშუალების უწყვეტი გამოყენების პირობა მოითხოვს პერიოდულ სრულმასშტაბიან შემოწმებებს დეფექტების გამოსაშვარავებლად, იმის მიუხედავად, ამ ერთეულის ნაწილები შეიცვლება თუ არა, ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებების ღირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცველი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, წყდება წინა შემოწმების ღირებულების ნარჩენი საბალანსო ღირებულების აღიარება. ამას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, წინა შემოწმების ღირებულება აისახა თუ არა ერთეულის შემენის ან შექმნის ოპერაციის ღირებულებაში. თუ აუცილებელია, მომავალი მსგავსი შემოწმების მოსალოდნელი ღირებულების ინდიკატორად, გამოიყენება ის თუ რა იყო მიმდინარე შემოწმების კომპონენტის ღირებულება, ერთეულის შემენის ან შექმნის მომენტში.

ჯგუფის ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება(ზარალის)“ სახით.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

ცვეთა

ცვეთა ერიცხება ჯგუფის აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ჯგუფის ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (თვე)	ნარჩენი ღირებულება/ ისტორიული ღირებულება
საჰაერო ტრანსპორტი	36	17%
თვითმფრინავის ძრავები	24 - 36	0%
თვითმფრინავის აგრეგატები	24 - 36	0%
საოფისე ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა	24 - 60	0%
სატრანსპორტო საშუალებები	60	12% - 16 %
სხვა	24 - 36	0% - 1%

ჯგუფის აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ჯგუფის არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარდება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

ჯგუფის არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე ჯგუფის არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ ჯგუფის აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ ჯგუფის გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

თითოეული საიჯარო შეთანხმება მეიჯარისათვის კლასიფიცირდება საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფის ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ჯგუფის ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ჯგუფმა ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ჯგუფის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

ჯგუფის მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ჯგუფის ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ჯგუფის ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ჯგუფის ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფის სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც ჯგუფს აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. ჯგუფის პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

წინასწარ გადახდები

ჯგუფის წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა ჯგუფში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფის ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

ჯგუფის მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ჯგუფის მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ჯგუფის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება ჯგუფს წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ჯგუფის დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტელივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ჯგუფის შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ფინანსური აქტივების გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხოთ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)

(გაგრძელება)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	თვითმფრინავების ძრავები	საჰაერო ტრანსპორტი	თვითმფრინავების აგრეგატები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება									
2019 წლის 1 იანვარი	91,315	2,139	21,732	4,011	-	-	-	-	119,197
შემოსვლა	-	1,526	-	-	-	-	-	-	1,526
გასვლა	27,883	-	-	-	-	-	-	-	27,883
2019 წლის 31 დეკემბერი	63,432	3,665	21,732	4,011	-	-	-	-	92,840
შემოსვლა	-	38,857	52,091	-	8,276,572	2,021,402	625,237	156,433	11,170,592
გასვლა	63,432	3,665	21,732	4,011	828,444	-	-	-	921,284
2020 წლის 31 დეკემბერი	-	38,857	52,091	-	7,448,128	2,021,402	625,237	156,433	10,342,148
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის 1 იანვარი	25,680	1,433	8,614	1,511	-	-	-	-	37,238
პერიოდის ცვეთა	5,921	168	1,925	355	-	-	-	-	8,369
გასვლა	26,357	-	-	-	-	-	-	-	26,357
2019 წლის 31 დეკემბერი	5,244	1,601	10,539	1,866	-	-	-	-	19,250
პერიოდის ცვეთა	-	4,418	6,336	-	523,827	300,700	97,029	52,364	984,674
გასვლა	5,244	1,601	10,539	1,866	149,044	-	-	-	168,294
2020 წლის 31 დეკემბერი	-	4,418	6,336	-	374,783	300,700	97,029	52,364	835,630
საბალანსო ღირებულება									
2019 წლის 31 დეკემბერი	58,188	2,064	11,193	2,145	-	-	-	-	73,590
2020 წლის 31 დეკემბერი	-	34,439	45,755	-	7,073,345	1,720,702	528,208	104,069	9,506,518

ჯგუფმა 2020 წლის ბოლოს გაყიდა ერთ-ერთი ძრავი, რომელსაც მანამდე იყენებდა და რომლის ისტორიული ღირებულება შეფასებული იყო 828,444 ლარად, ხოლო აკუმულირებული ცვეთა შეადგენდა 149,044 ლარს. აღნიშნული აქტივი გაყიდა 164,350 ლარად, შესაბამისად მოცემულ ოპერაციაზე მიღებული ზარალი 515,050 ლარის ოდენობით აჩვენა პერიოდის მოგება ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართული ლარი)

5. მარაგები

ჯგუფის მარაგების ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს: საპოხ საშუალებებს, სხვადასხვა მოწყობილობებსა და ხელსაწყოებს. მარაგები განთავსებულია როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ და გამოიყენება საქონლისა და მომსახურების მიწოდებაში.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	977,318	1,309,095
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(802,132)	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	175,187	1,309,095
გადახდილი ავანსები	87,004	147,690
სხვა მოთხოვნები	12,120	5,620
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	274,311	1,462,405

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემდეგია:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	-	-
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(802,132)	-
დარიცხვა / (ამობრუნება) წლის განმავლობაში	-	-
	(802,132)	-

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,730,556	429,917
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	24,377	700
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	25,576	29,091
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,780,509	459,708

ჯგუფის საპროცენტო შემოსავალს იღებს მოთხოვნამდე შემნახველ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან. უცხოურ ვალუტაში არსებული თანხებიდან საშუალოდ 1.88%-ის ოდენობით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში განთავსებული სახსრებისგან 4%-ის ოდენობით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის რეზიდენტ ბანკში, შემნახველ ანგარიშზე განთავსებული აქვს 1,399,216 ლარის ეკვივალენტი დოლარში, დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის 34,369 ლარის ჩათვლით.

8. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესვებოდა დამფუძნებლების მიერ და შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბერს შეადგინა 279,305 ლარი. ჯგუფის გასანაწილებელი დივიდენდი იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით). 2020 წელს ჯგუფს აქვს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები 148,073 ლარის ოდენობით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს მიმდინარე საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ მოკლევადიან სავაჭრო ვალდებულებას.

დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში შემავალი ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

10. შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი საავიაციო მომსახურებიდან	33,542,508	20,527,011
შემოსავალი ჰენდლინგური მომსახურებიდან	1,003,650	-
სხვა შემოსავალი	81,318	2,215
სულ შემოსავალი	34,627,476	20,529,226

11. რეალიზაციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საწვავის ხარჯი	6,724,951	9,927,379
საჰაერო მომსახურების ხარჯი	4,891,397	-
თვითმფრინავის იჯარა	3,854,744	5,699,040
ჰენდლინგური მომსახურება	2,916,211	3,832,421
შრომის ანაზღაურება	1,560,818	-
ცვეთა და ამორტიზაცია	919,249	-
საფოსტო მომსახურება	-	136,203
სხვა	1,886,013	-
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	22,753,384	19,595,043

12. ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	690,293	441,185
მივლინება	92,733	58,552
იჯარის ხარჯი	81,292	32,733
პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯი	77,940	40,108
ცვეთა და ამორტიზაცია	96,902	18,487
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	32,993	-
საგადასახადო ხარჯი	24,756	-
ბანკისა და სხვა საკომისიო ხარჯები	25,175	13,466
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	19,301	-
ტრანსპორტირება და ავტოსატრანსპორტო უზრუნველყოფა	15,733	16,428
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	14,936	-
კომუნიკაციის ხარჯი	7,833	4,282
სხვა	43,518	67,063
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,223,404	692,304

შპს იზი ჩარტერი (405123254)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართული ლარი)

13. სხვა ხარჯი

ჯგუფის სხვა ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შედგება უიმედო მოთხოვნის ანარიცხისაგან.

14. ფინანსური ხარჯი, წმინდა

ჯგუფის ფინანსური ხარჯი, ნეტო 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	(251,207)	-
საპროცენტო შემოსავალი ფული და ფულის ეკვივალენტებზე	63,810	-
სულ ფინანსური ხარჯი, ნეტო	(187,397)	

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

ფინანსური მდგომარეობის**ანგარიშგების არე**

		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობის სახე	დაკავშირებული მხარეების ბალანსი	დაკავშირებული მხარეების ბალანსი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	37,000	181,957
გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	78,028	-
სრული შემოსავლის ანგარიშგების არე		2020	2019

ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობის სახე	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები
ადმინისტრაციული ხარჯი	სხვა დაკავშირებული მხარე	43,409	-
მომსახურების შესყიდვა	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	91,913	3,450,648
მომსახურების შესყიდვა	სხვა დაკავშირებული მხარე	1,116,643	-
საპროცენტო ხარჯები	სხვა დაკავშირებული მხარე	8,955	-

დაკავშირებული მხარეების სხვა ტრანზაქციები:

	2020	2019
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	194,475	228,278
გაცემული დივიდენდები	136,513	-
	330,988	228,278

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა განახორციელა შევსებული კაპიტალის უკან დაბრუნება 276,459 ლარის ოდენობით, ასევე 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა და ფულადი სახით გასცა დივიდენდები 615,639 ლარის ოდენობით, ასევე 2021 წლის განმავლობაში ჯგუფში მოხდა წილების ცვლილება.

შპს „ავიაკომპანია იზი ჩარტერი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის



სარჩევი

1. ჯგუფის ზოგადი მიმოხილვა	3
2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	4
<i>ჯგუფის ძირითადი შემოსავლები</i> <i>ჯგუფის კაპიტალური და მიმდინარე რემონტები</i> <i>ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები</i> <i>ჯგუფის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში</i> <i>ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა</i>	
3. ჯგუფის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	8

1. ჯგუფის ზოგადი მიმოხილვა

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერი“ დაარსდა 2015 წლის 3 ნოემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით 405123254.

2015 წლიდან შპს იზი ჩარტერი ოპერირებას ახორციელებდა სატვირთო საჰაერო გადაზიდვებს სხვადასხვა ნაჟირავები თვითმფრინავებით, რამაც საშუალება მისცა შეერჩია მისი ბაზრისთვის საუკეთესო საჰაერო ხომალდი, ტვირთამწეობის, მოცულობის, ფრენის მანძილის მიხედვით.

ამ პროცესის გავლის შემდგომ ინვესტორებთან ერთად გადაწყდა საჰაერო ხომალდის შეძენა და ავიაკომპანიის დაფუძნება, რომელიც უკვე მისთვის მომზადებულ, კარგად შესწავლილ და ადაპტირებულ ბაზარზე გააგრძელებდა ფუნქციონირებას. ყოველივე ამისათვის კი, ასევე ინვესტორების თხოვნით დაფუძნდა ახალი კომპანია 2020 წლის 15 იანვარს იგივე სახელწოდებით, ხოლო ძველი „იზი ჩარტერი“ დამფუძნებლად შევიდა ამ კომპანიაში. შვილობილი ავიაკომპანია იზი ჩარტერი (ს/კ 405373171) ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ფლობს ერთ საჰაერო ხომალდს და ახორციელებს ფრენებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კლიენტებისთვის. კომპანია ახორციელებს მხოლოდ ტვირთის ტრანსპორტირებას.

2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელები არიან:

	2020	2019
რატი ძერია (პ/ნ 01019010505)	69 %	69 %
კონსტანტინე დავითიძე (პ/ნ 01006004066)	21 %	21 %
პაატა კვიჟინაძე (პ/ნ 01008004985)	10 %	10 %
	100%	100%

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ლიცენზირებადია და რეგულირებადია; მასზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

პარტნიორთა კრება

პარტნიორთა კრება, როგორც წესი ტარდება წელიწადში ერთხელ.

დირექტორთა საბჭო

ჯგუფის პარტნიორების უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დანიშნულია ერთი დირექტორი, რომელიც ახორციელებს ჯგუფის მიმდინარე ხელმძღვანელობას.

პერსონალი

ჯგუფში 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ირიცხება 35 თანამშრომელი, ყოველთვიური სახელფასო ფონდის ოდენობა საშუალოდ შეადგენს 360 000 ლარს.

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

ჯგუფის ძირითადი შემოსავლები

ჯგუფს საკუთრებაში აქვს ერთი სატვირთო საჰაერო ხომალდი. თვითმფრინავით და ეკიპაჟით გაწეული მომსახურება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ წარმოადგენს ჯგუფის საქმიანობას და შემოსავლის ძირითად წყაროს.

ჯგუფის თვითმფრინავის ტიპი და მოდელებია:

1. A300B4-203F (სახ. რეგ. #4L-EFC, საქარხ. #210)

თვითმფრინავი ბაზირებულია საქართველოში და რეისების აბსოლუტური უმრავლესობა ხორციელდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან. ასევე ავიაკომპანია ახორციელებს საერთაშორისო რეისებს მესამე ქვეყნებს შორის.

ჯგუფის ოპერირების ძირითადი არეალია აზია, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკის კონტინენტი.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჩარტერული რეისების შესრულებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **33,542,508** ლარი ხოლო (**2019 : 20,527,011 ლარი**).

ავიაკომპანიის დამატებითი შემოსავლები:

ჯგუფი ასევე ახორციელებს სხვა საჰაერო ხომალდების მიწისზედა მომსახურებას (ჰენდლინგური მომსახურება) და მიმდინარე პერიოდში ამ მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **1,003,650** ლარი ხოლო (**2019: 0 ლარი**).

კაპიტალური და მიმდინარე რემონტები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთრებაში არსებულ საჰაერო ხომალდს, ძირითად აგრეგატებს და მათ მაკომპლექტორებს (ძრავები, დამხმარე ძალური დანადგარები, საბურავები, მუხრუჭები და ა.შ.) ესაჭიროებათ როგორც კაპიტალური, ასევე მიმდინარე რემონტი.

კერძოდ თვითმფრინავს (ფუზელაჟი), ძრავებს და სხვა მაკომპლექტორებს გააჩნიათ საათობრივი, კალენდარული და ციკლური რესურსები, რომელთა მომსახურების ვადებს რემონტის შემდეგ ანიჭებს შესაბამისი ლიცენზირებული ქარხანა.

გამომდინარე იქედან რომ საქმიანობა არის მკაცრად რეგულირებადი, საჰაერო ხომალდების და მათი აგრეგატების დანიშნული საათობრივი ან კალენდარული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში, ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებული წესების, მწარმოებელი და სარემონტო ქარხნების რეგლამენტის გათვალისწინებით შესაძლებელია რემონტთაშორისი რესურსის გაგრძელება ან მათზე კაპიტალური რემონტის განხორციელება. სრული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში ხდება მათი ჩამოწერა, რაც ასევე მკაცრად რეგლამენტირებულია და მათი შეფასება წარმოებს შესყიდვის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტივების რემონტის ხარჯების გაწევა კომპანიისათვის მნიშვნელოვანი დანახარჯებია, რაც ყოველწლიურად სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული.

შპს „ავიაკომპანია იზი ჩარტერი“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის შემოსავალმა შეადგენდა **34,627,476 ლარი ხოლო (2019 : 20,529,226 ლარი)**. შემოსავლის 97% შეადგენს ჯგუფის საკუთრებაში არსებული თვითმფრინავით შესრულებული ჩარტერული რეისების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს. დეტალები იხილეთ ავიაკომპანიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის
შემოსავალი	34,627,476	20,529,226
რელიზეებული პროდუქციის თვითღირებულება	(22,753,384)	(19,595,043)
საერთო მოგება	11,874,092	934,183
ადმინისტრაციის ხარჯები	(1,223,404)	(692,304)
სხვა შემოსავალი	77,999	2,215
სხვა ხარჯი	(803,311)	-
საოპერაციო მოგება	9,925,376	244,094
ფინანსური ხარჯი, ნეტო	(187,397)	-
წმინდა ზარალი საკუთროს სხვაობიდან	(165,817)	(26,081)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი	(515,050)	-
არასაოპერაციო ხარჯები/(შემოსავლები)	-	(1,158)
მოგება დაბეგვრამდე	9,057,112	216,855
მოგების გადასახადი	(28,150)	-
წლის წმინდა მოგება	9,028,962	216,855
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის სრული შემოსავალი	9,028,962	216,855

შპს „ავიაკომპანია იზი ჩარტერი“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9,506,518	73,591
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,506,518	73,591
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	92,403	39,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	274,311	1,462,405
სხვა აქტივები	-	2,521
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,780,509	459,708
სულ მიმდინარე აქტივები	2,147,222	1,963,964
სულ აქტივები	11,653,740	2,037,555
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	279,305	-
გაუნაწილებელი მოგება	10,449,381	1,568,492
სულ კაპიტალი	10,728,686	1,568,492
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	65,532	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	65,532	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	847,265	469,063
სესხის მიმდინარე ნაწილი	8,941	-
საგადასახადო ვალდებულება	3,316	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	859,522	469,063
სულ ვალდებულებები	925,054	469,063
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,653,740	2,037,555

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებელი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.39	4.10
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.50	4.19

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელია 9% (2019 წელი - 30%).

ჯგუფის როგორც მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ისე სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი მისაღებ საზღვრებშია (2-ზე მაღალი).

ჯგუფის რენტაბელობის მაჩვენებლები

	2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის
საერთო მოგების მარჟა	34%	5%
წმინდა მოგების მარჟა	26%	1%
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	48	N/A

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

უკუგებაში გამოყენებულ კაპიტალზე მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე შეადგინა - 84% (2019 წელს - 14%)

ჯგუფმა 2020 წელს მისაღები მომგებიანობა აჩვენა განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში, რაც შესაბამისად აისახა მომგებიანობის და პროცენტის დაფარვის კოეფიციენტებში. ჯგუფის მომგებიანობა არ ყოფილა მოულოდნელი იქედან გამომდინარე რაზეც საუბარია ქვემოთ, ჯგუფის მიერ მემკვიდრეობით მიღებული გამოცდილების თაობაზე.

2020 წლის ბოლოსათვის ჯგუფის აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 11,653,740 ლარი ხოლო (2019 წლის მდგომარეობით 2,037,555 ლარი).

ჯგუფის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ავიაკომპანიად ჩამოყალიბებამდე, ჯგუფი ახორციელებდა სატვირთო საჰაერო გადაზიდვებს სხვადასხვა ნაქირავები თვითმფრინავებით, რამაც საშუალება მისცა შეერჩია მისი ბაზრისთვის საუკეთესო საჰაერო ხომალდი, ტვირთამწეობის, მოცულობის, ფრენის მანძილის მიხედვით.

ამ პროცესის გავლის შემდგომ ინვესტირებთან ერთად გადაწყდა საჰაერო ხომალდის შეძენა და ავიაკომპანიის დაფუძნება, რომელიც უკვე მისთვის მომზადებულ, კარგად შესწავლილ და ადაპტირებულ ბაზარზე გააგრძელებდა ფუნქციონირებას.

ამავდროულად ჯგუფის მენეჯმენტმა მოახერხა ძირითად ადგილობრივ დამკვეთებთან კარგი საქმიანი ურთიერთობების დამყარება, რაც ჯგუფის მიერ სტაბილურად მიწოდებული მაღალი ხარისხის მომსახურების შედეგი იყო.

მესამე ქვეყნებში საერთაშორისო რეისები კი ძირითადად ხორციელდება ე.წ. „ცხელ წერტილებში“ გაეროს, ეუთოს, წითელი ჯვრის, ნატოს მისიების და სხვადასხვა სახელმწიფოების მთავრობების სპეციალური პროგრამების (მტკიცე მხარდაჭერის მისია, გაეროს სამშვიდობო ძალები აფრიკაში და ა.შ.) ტვირთის ტრანსპორტირებას. ამავდროულად, გარდა ზემოთხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა, საქმიანობის განხორციელებისას ძირითად დამკვეთებად გვევლინებიან საავიაციო ბროკერები, რომელთა რაოდენობაც შეზღუდულია საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და რამდენიმე ათეულს არ სცდება. ჯგუფი მისი სამუშაო ხანგრძლივობიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე ცნობილია ყველა ძირითადი ბროკერისთვის და პირიქით. ინფორმაცია ამ ხასიათის ბაზრის კონიუქტურის თაობაზე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ავიაკომპანიისთვის ცნობილი ხდება უშუალოდ ბაზრის (ბროკერების) მონაწილეებისგან, რაც სრულიად გამორიცხავს ავიაკომპანიის მხრიდან ამ ტიპის ბაზრის კვლევისთვის კონსალტინგური ორგანიზაციების ჩართვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჯგუფისთვის ცნობილია ამ ტიპის ბაზრის სამომავლო შესაძლებლობები და მოთხოვნები:

2021 წლისთვის კვლავ აქტუალური იქნება ავღანეთის ბაზარი და მზარდი მოთხოვნა ახლო აღმოსავლეთში, ასევე აფრიკის სახელმწიფოებში გაეროს, ნატოს, World Food Program -ის ფარგლებში

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

სატვირთო გადაზიდვები. ამ პროგრამებში დასასაქმებლად კვლავ მოთხოვნადია ჯგუფის საჰაერო ხომალდი.

ჯგუფმა 2021 წლის სექტემბერში მიიღო ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს აღიარება (TCO) რამაც მოიცვა მთელი ევროპის რეგიონში ფრენების უფლება და ბაზარი მნიშვნელოვნათ გაიზარდა რამაც მოიტანა ჯგუფისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ევროპაში ფრენების უფლება მოგვეცა, არამედ ეს ჩვენთვის საკუთარი რეისების უსაფრთხოების სტანდარტის ხაზგასმაა. ამ აღიარებიდან ათ დღეში ევროპაში პირველი რეისიც შევასრულეთ, გარდა ამისა, გავიარეთ ჰონკონგის მაკაუს სერტიფიცირებაც, რომელიც ასევე არ არის მარტივი მისაღწევი. ამ ყველაფრის შედეგად, ამჟამად კვირაში ორჯერ ჰონკონგიდან ბარსელონაში დავფრინავთ. ეს იმდენად დიდი რეისია, რომ ჩვენი თვითმფრინავი პრაქტიკულად 100%-ით დაკავებულია.

3. ჯგუფის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აღნიშნული ტიპის საქმიანობის განსახორციელებლად ჯგუფისთვის შესაძლებელია პრობლემატური გახდეს შემდეგი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით:

ამ ეტაპისთვის შეჩერებულია ცოცხალი საქონლის ტრანსპორტირება, ვინაიდან ჩვენი კონკურენტი ამ მხრივ სომხეთი გახდა და ეს ბაზარი მთლიანად ამ ქვეყანაში გადავიდა. სომხეთმა გვაჯობა. ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის საკანონმდებლო. ასევე ისიც, რომ ირანმა სახმელეთო გზით ტრანზიტი გახსნა, შედეგად სომხეთიდან ირანში ხვდება ცოცხალი საქონელი და რაც მნიშვნელოვანი ზიანი იქნება ჩვენი ბაზრისთვის.

ევროპის საავიაციო ხელისუფლების მიერ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების ფრენების შეზღუდვა მათ ტერიტორიაზე, რაც ავტომატურად გამოიწვევს ბევრ არა ევროპულ ქვეყანაში ჩვენი თვითმფრინავის ფრენის აკრძალვას. რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ჯგუფის ოპერირების არეალს. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული რისკი მხოლოდ დაშვებაა და მათი მოხდენის ალბათობა საკმაოდ მცირეა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მკაცრად აკონტროლებს საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისიანობის და ფრენების უსაფრთხოების სტანდარტებს, ასევე სურსათის უვნებლობის სააგენტოს ვეტერინარიის სამსახურის მიერ კარგადაა დაცული ცხოველთა ინფექციური თუ სხვა დაავადებები გავრცელების თავიდან ასაცილებლად საჭირო პრევენციული ღონისძიებები.

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერის“ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 17 დეკემბერს:

დირექტორი

რატი ძერია

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	8
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	17
4. ძირითადი საშუალებები	19
5. მარაგები.....	20
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
8. საწესდებო კაპიტალი	20
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
10. შემოსავალი	21
11. რეალიზაციის თვითღირებულება	21
12. ადმინისტრაციული ხარჯები	21
14. ფინანსური ხარჯი, ნეტო	22
15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	22
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იზი ჩარტერის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს აუდიტის ჩასატარებლად შპს „იზი ჩარტერის“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფმა ვერ შეძლო 2020 წლის შესადარისი 2019 წლის ბუღალტრული ჩანაწერების სრულყოფილად მოწოდება. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საწყისი ნაშთები არ მოიცავს ყოვლისმომცველ უზუსტობებს, რომლებიც გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში, აგრეთვე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

Closer to you

აუდიტორის პასუხისმგებლობა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხდენილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

2021 წლის 24 დეკემბერი
თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	9,506,518	73,590
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,506,518	73,590
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	92,403	39,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	274,311	1,462,405
სხვა აქტივები		-	2,522
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,780,509	459,708
სულ მიმდინარე აქტივები		2,147,222	1,963,965
სულ აქტივები		11,653,740	2,037,555
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	279,305	-
გაუნაწილებელი მოგება		10,449,381	1,568,492
სულ კაპიტალი		10,728,686	1,568,492
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		65,532	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		65,532	
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	847,265	469,063
საგადასახადო ვალდებულება		3,316	-
სესხის მიმდინარე ნაწილი		8,941	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		859,522	469,063
სულ ვალდებულებები		925,054	469,063
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,653,740	2,037,555

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 დეკემბრს:

რატი ძერია
დირექტორი



ზესიკ ბენდელიანი
ფინანსური სამსახურის უფროსი

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)


სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

		2020	2019
შემოსავალი	10	34,627,476	20,529,226
რელიზაციის თვითღირებულება	11	(22,753,384)	(19,595,043)
საერთო მოგება		11,874,092	934,183
ადმინისტრაციის ხარჯები	12	(1,223,404)	(692,304)
სხვა შემოსავალი		77,999	2,215
სხვა ხარჯი	13	(803,311)	-
საოპერაციო მოგება		9,925,376	244,094
ფინანსური ხარჯი, წმინდა	14	(187,397)	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	15	(165,817)	(26,081)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი	4	(515,050)	-
არასაოპერაციო ხარჯები		-	(1,158)
მოგება დაბეგვრამდე		9,057,112	216,855
მოგების გადასახადი		(28,150)	-
წლის წმინდა მოგება		9,028,962	216,855
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		9,028,962	216,855
მათ შორის :			
მშობელი კომპანიის მფლობელთა წილი		6,128,096	-
არამაკონტროლებელი წილი		2,900,866	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		9,028,962	-
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,568,492	1,351,637
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		9,028,962	-
გამოცხადებული დივიდენდი		(148,073)	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		10,449,381	1,568,492

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 დეკემბერს:



რათი მგორია
დირექტორი



ბესიკ ბენდელიანი
ფინანსური სამსახურის უფროსი



შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართული ლარი)


ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	33,560,781	10,133,782
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(19,455,064)	(9,582,171)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(1,841,915)	(138,976)
საბანკო გარანტიების განთავსება	(6,500)	-
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(411,329)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან, პროცენტამდე	11,845,973	412,634
გადახდილი პროცენტები	(208,033)	-
მიღებული პროცენტები	34,920	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(15,620)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	11,656,689	412,634
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(11,050,327)	-
ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(11,049,776)	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	5,630,390	-
სესხების დაფარვა	(5,379,019)	-
კაპიტალიდან ფულადი აქტივების გატანა	279,305	12,847
ფულადი სახსრების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან	530,676	12,847
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	1,137,588	425,481
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	459,708
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე		183,213
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	1,780,509
		459,708

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 დეკემბერს:



რატაძერია
დირექტორი



ბესიკ ბენდელიანი
ფინანსური სამსახურის უფროსი



შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

გვერდი 7

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იზი ჩარტერი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2015 წლის 03 ნოემბრის საიდენტიფიკაციო კოდით 405123254.

2020 წელის 15 იანვარს კომპანიამ დაარსა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იზი ჩარტერი“ (ს/ნ 405373171), საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ჯგუფის საქმიანობას წარმოადგენს ჩარტერული ფრენების განხორციელება, იჯარით აღებული საჰაერო ხომალდით.

თვითმფრინავი იჯარით იყო აყვანილი უკრაინული ავიაკომპანია „იუჟმაშავიდან“.

ოპერირების ძირითადი რეგიონია ახლო აღმოსავლეთი. ჯგუფი ასრულებს ცოცხალი საქონლის გადაყვანას ერაყის ქალაქ სულეიმანიაში, ასევე შეასრულა რეისები კუვეიტის, ამანის და სხვა მიმართულებებით.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ტვირთის გადაზიდვით და არ ახორციელებს ცოცხალი საქონლის შესყიდვას ან მათთან დაკავშირებულ რაიმე სხვა საქმიანობას.

გარდა ცოცხალი საქონლისა ჯგუფმა შეასრულა რამდენიმე სპეც. რეისი კონკრეტული შეკვეთებიდან გამომდინარე.

ჯგუფის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ფალიაშვილის 83, საოფისე ფართი არის იჯარით აღებული.

ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ტაშკენტის ქ., N 23, ბ. 18

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

წილი%	2020	2019
პაატა კვიფინაძე, პ/ნ 01008004985	10%	10%
კონსტანტინე დავითიძე, პ/ნ 01006004066	21%	21%
რატი ძერია, პ/ნ 01019010505	69%	69%

ჯგუფის საბოლოო ბენეფიციარები არიან ის ფიზიკური პირები რომლებიც ფლობენ ამ კომპანიას.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის აღნიშნული. თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და შვილობილი კომპანიის შედეგებს, ფულად ნაკადებს, აქტივებსა და ვალდებულებებს.

შვილობილი კომპანია არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვეთება მთლიანად.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. განხორციელებული საქმიანობის შედეგად ჯგუფს აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მოცულობითი ძირითადი საშუალებები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, ასევე წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095
საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:	2020	2019
1 USD/GEL	3.1097	2.8192
1 EUR/GEL	3.5519	3.1553

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ჯგუფის ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფის შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტიდან შემოსავალს იღებს ტვირთების ავტრანსპორტის მომსახურების მიწოდებით. მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი შემოსავალი აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას გამოწერილი ინვოისის საფუძველზე.

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით მომხმარებელთან შეთანხმებული გარიგების საფუძველზე.

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ჯგუფის ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

თუ ჯგუფის ძირითადი საშუალების უწყვეტი გამოყენების პირობა მოითხოვს პერიოდულ სრულმასშტაბიან შემოწმებებს დეფექტების გამოსაშვარავებლად, იმის მიუხედავად, ამ ერთეულის ნაწილები შეიცვლება თუ არა, ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებების ღირებულება აისახება ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცველი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, წყდება წინა შემოწმების ღირებულების ნარჩენი საბალანსო ღირებულების აღიარება. ამას ადგილი აქვს იმის მიუხედავად, წინა შემოწმების ღირებულება აისახა თუ არა ერთეულის შეძენის ან შექმნის ოპერაციის ღირებულებაში. თუ აუცილებელია, მომავალი მსგავსი შემოწმების მოსალოდნელი ღირებულების ინდიკატორად, გამოიყენება ის თუ რა იყო მიმდინარე შემოწმების კომპონენტის ღირებულება, ერთეულის შეძენის ან შექმნის მომენტში.

ჯგუფის ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება(ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება ჯგუფის აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ჯგუფის ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (თვე)	ნარჩენი ღირებულება/ ისტორიული ღირებულება
საჰაერო ტრანსპორტი	36	17%
თვითმფრინავის ძრავები	24 - 36	0%
თვითმფრინავის აგრეგატები	24 - 36	0%
საოფისე ინვენტარი და კომპიუტერული ტექნიკა	24 - 60	0%
სატრანსპორტო საშუალებები	60	12% - 16 %
სხვა	24 - 36	0% - 1%

ჯგუფის აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ჯგუფის არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარდება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

ჯგუფის არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის

არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე ჯგუფის არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ ჯგუფის აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ ჯგუფის გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

თითოეული საიჯარო შეთანხმება მეიჯარისათვის კლასიფიცირდება საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის

უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფის ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ჯგუფის ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ქვე ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის

გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ჯგუფმა ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულებად - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ჯგუფის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

ჯგუფის მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ჯგუფის ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ჯგუფის ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ჯგუფის ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფის სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც ჯგუფს აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. ჯგუფის პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

წინასწარ გადახდები

ჯგუფის წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა ჯგუფში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფის ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

ჯგუფის მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ჯგუფის მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1

იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ჯგუფის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება ჯგუფს წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღე-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ჯგუფის დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, შშოლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შედგაფების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

ჯგუფის შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ფინანსური აქტივების გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

შპს იზი ჩარტერი (405123254)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართული ლარი)
(გაგრძელება)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	თვითმფრინავების ძრავები	საკაპრო ტრანსპორტი	თვითმფრინავების აგრეგატები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება									
2019 წლის 1 იანვარი	91,315	2,139	21,732	4,011	-	-	-	-	119,197
შემოსვლა	-	1,526	-	-	-	-	-	-	1,526
გასვლა	27,883	-	-	-	-	-	-	-	27,883
2019 წლის 31 დეკემბერი	63,432	3,665	21,732	4,011	-	-	-	-	92,840
შემოსვლა	-	38,857	52,091	-	8,276,572	2,021,402	625,237	156,433	11,170,592
გასვლა	63,432	3,665	21,732	4,011	828,444	-	-	-	921,284
2020 წლის 31 დეკემბერი	-	38,857	52,091	-	7,448,128	2,021,402	625,237	156,433	10,342,148
დაგროვილი ცვლილება									
2019 წლის 1 იანვარი	25,680	1,433	8,614	1,511	-	-	-	-	37,238
პერიოდის ცვლილება	5,921	168	1,925	355	-	-	-	-	8,369
გასვლა	26,357	-	-	-	-	-	-	-	26,357
2019 წლის 31 დეკემბერი	5,244	1,601	10,539	1,866	-	-	-	-	19,250
პერიოდის ცვლილება	-	4,418	6,336	-	523,827	300,700	97,029	52,364	984,674
გასვლა	5,244	1,601	10,539	1,866	149,044	-	-	-	168,294
2020 წლის 31 დეკემბერი	-	4,418	6,336	-	374,783	300,700	97,029	52,364	835,630
საბალანსო ღირებულება									
2019 წლის 31 დეკემბერი	58,188	2,064	11,193	2,145	-	-	-	-	73,590
2020 წლის 31 დეკემბერი	-	34,439	45,755	-	7,073,345	1,720,702	528,208	104,069	9,506,518

ჯგუფმა 2020 წლის ბოლოს გაყიდა ერთ-ერთი ძრავი, რომელსაც მანამდე იყენებდა და რომლის ისტორიული ღირებულება შეფასებული იყო 828,444 ლარად, ხოლო აკუმულირებული ცვლილება შეადგენდა 149,044 ლარს. აღნიშნული აქტივი გაყიდა 164,350 ლარად, შესაბამისად მოცემულ ოპერაციაზე მიღებული ზარალი 515,050 ლარის ოდენობით აწვეს პერიოდის მოგება ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი.

5. მარაგები

ჯგუფის მარაგების ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს: საპოხ საშუალებებს, სხვადასხვა მოწყობილობებსა და ხელსაწყოებს. მარაგები განთავსებულია როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ და გამოიყენება საქონლისა და მომსახურების მიწოდებაში.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	977,318	1,309,095
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(802,132)	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	175,187	1,309,095
გადახდილი ავანსები	87,004	147,690
სხვა მოთხოვნები	12,120	5,620
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	274,311	1,462,405

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემდეგია:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვარს	-	-
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(802,132)	-
დარიცხვა / (ამოზრუნება) წლის განმავლობაში	-	-
	(802,132)	-

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,730,556	429,917
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	24,377	700
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	25,576	29,091
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,780,509	459,708

ჯგუფის საპროცენტო შემოსავალს იღებს მოთხოვნამდე შემნახველ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან. უცხოურ ვალუტაში არსებული თანხებიდან საშუალოდ 1.88%-ის ოდენობით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში განთავსებული სახსრებისგან 4%-ის ოდენობით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის რეზიდენტ ბანკში, შემნახველ ანგარიშზე განთავსებული აქვს 1,399,216 ლარის ექვივალენტი დოლარში, დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის 34,369 ლარის ჩათვლით.

8. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ და შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბერს შეადგინა 279,305 ლარი. ჯგუფის გასანაწილებელი დივიდენდი იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით). 2020 წელს ჯგუფს აქვს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები 148,073 ლარის ოდენობით.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს მიმდინარე საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილ მოკლევადიან სავაჭრო ვალდებულებას.

დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში შემავალი ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

10. შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი საავიაციო მომსახურებიდან	33,542,508	20,527,011
შემოსავალი ჰენდლინგური მომსახურებიდან	1,003,650	-
სხვა შემოსავალი	81,318	2,215
სულ შემოსავალი	34,627,476	20,529,226

11. რეალიზაციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საწვავის ხარჯი	6,724,951	9,927,379
საჰაერო მომსახურების ხარჯი	4,891,397	-
თვითმფრინავის იჯარა	3,854,744	5,699,040
ჰენდლინგური მომსახურება	2,916,211	3,832,421
შრომის ანაზღაურება	1,560,818	-
ცვეთა და ამორტიზაცია	919,249	-
საფოსტო მომსახურება	-	136,203
სხვა	1,886,013	-
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	22,753,384	19,595,043

12. ადმინისტრაციული ხარჯები

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	690,293	441,185
მივლინება	92,733	58,552
იჯარის ხარჯი	81,292	32,733
პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯი	77,940	40,108
ცვეთა და ამორტიზაცია	96,902	18,487
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	32,993	-
საგადასახადო ხარჯი	24,756	-
ბანკისა და სხვა საკომისიო ხარჯები	25,175	13,466
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	19,301	-
ტრანსპორტირება და ავტოსატრანსპორტო უზრუნველყოფა	15,733	16,428
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	14,936	-
კომუნიკაციის ხარჯი	7,833	4,282
სხვა	43,518	67,063
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,223,404	692,304

13. სხვა ხარჯი

ჯგუფის სხვა ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის შედგება უიმედო მოთხოვნის ანარიცხისაგან.

14. ფინანსური ხარჯი, წმინდა

ჯგუფის ფინანსური ხარჯი, ნეტო 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	(251,207)	-
საპროცენტო შემოსავალი ფული და ფულის ეკვივალენტებზე	63,810	-
სულ ფინანსური ხარჯი, ნეტო	(187,397)	

15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

ფინანსური მდგომარეობის
 ანგარიშგების არე

ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობის სახე	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
		დაკავშირებული მხარეების ბალანსი	დაკავშირებული მხარეების ბალანსი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	37,000	181,957
გრძელვადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	სხვა დაკავშირებული მხარე	78,028	-
სრული შემოსავლის ანგარიშგების არე		2020	2019

ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობის სახე	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები
ადმინისტრაციული ხარჯი	სხვა დაკავშირებული მხარე	43,409	-
მომსახურების შესყიდვა	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	91,913	3,450,648
მომსახურების შესყიდვა	სხვა დაკავშირებული მხარე	1,116,643	-
საპროცენტო ხარჯები	სხვა დაკავშირებული მხარე	8,955	-

დაკავშირებული მხარეების სხვა ტრანზაქციები:

	2020	2019
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	194,475	228,278
გაცემული დივიდენდები	136,513	-
სულ	330,988	228,278

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა განახორციელა შეცვლებული კაპიტალის უკან დაბრუნება 276,459 ლარის ოდენობით, ასევე 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა და ფულადი სახით გასცა დივიდენდები 615,639 ლარის ოდენობით, ასევე 2021 წლის განმავლობაში ჯგუფში მოხდა წილების ცვლილება.

შპს „ავიაკომპანია იზი ჩარტერი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის



სარჩევი

1. ჯგუფის ზოგადი მიმოხილვა	3
2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.....	4
<i>ჯგუფის ძირითადი შემოსავლები</i>	
<i>ჯგუფის კაპიტალური და მიმდინარე რემონტები</i>	
<i>ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები</i>	
<i>ჯგუფის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში</i>	
<i>ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა</i>	
3. ჯგუფის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	8

1. ჯგუფის ზოგადი მიმოხილვა

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერი“ დაარსდა 2015 წლის 3 ნოემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით 405123254.

2015 წლიდან შპს იზი ჩარტერი ოპერირებას ახორციელებდა სატვირთო საჰაერო გადაზიდვებს სხვადასხვა ნაქირავები თვითმფრინავებით, რამაც საშუალება მისცა შეერჩია მისი ბაზრისთვის საუკეთესო საჰაერო ხომალდი, ტვირთამწეობის, მოცულობის, ფრენის მანძილის მიხედვით.

ამ პროცესის გავლის შემდგომ ინვესტორებთან ერთად გადაწყდა საჰაერო ხომალდის შეძენა და ავიაკომპანიის დაფუძნება, რომელიც უკვე მისთვის მომზადებულ, კარგად შესწავლილ და ადაპტირებულ ბაზარზე გააგრძელებდა ფუნქციონირებას. ყოველივე ამისათვის კი, ასევე ინვესტორების თხოვნით დაფუძნდა ახალი კომპანია 2020 წლის 15 იანვარს იგივე სახელწოდებით, ხოლო ძველი „იზი ჩარტერი“ დამფუძნებლად შევიდა ამ კომპანიაში. შეიღობილი ავიაკომპანია იზი ჩარტერი (ს/კ 405373171) ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის ფლობს ერთ საჰაერო ხომალდს და ახორციელებს ფრენებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კლიენტებისთვის. კომპანია ახორციელებს მხოლოდ ტვირთის ტრანსპორტირებას.

2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელები არიან:

	2020	2019
რეტი ძერია (პ/ნ 01019010505)	69 %	69 %
კონსტანტინე დავითიძე (პ/ნ 01006004066)	21 %	21 %
პაატა კვიფინაძე (პ/ნ 01008004985)	10 %	10 %
	100%	100%

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ლიცენზირებადია და რეგულირებადია; მასზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

პარტნიორთა კრება

პარტნიორთა კრება, როგორც წესი ტარდება წელიწადში ერთხელ.

დირექტორთა საბჭო

ჯგუფის პარტნიორების უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, დანიშნულია ერთი დირექტორი, რომელიც ახორციელებს ჯგუფის მიმდინარე ხელმძღვანელობას.

პერსონალი

ჯგუფში 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით ირიცხება 35 თანამშრომელი, ყოველთვიური სახელფასო ფონდის ოდენობა საშუალოდ შეადგენს 360 000 ლარს.

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

ჯგუფის ძირითადი შემოსავლები

ჯგუფს საკუთრებაში აქვს ერთი სატვირთო საჰაერო ხომალდი. თვითმფრინავით და ეკიპაჟით გაწეული მომსახურება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ წარმოადგენს ჯგუფის საქმიანობას და შემოსავლის ძირითად წყაროს.

ჯგუფის თვითმფრინავის ტიპი და მოდელებია:

1. A300B4-203F (სახ. რეგ. #4L-EFC, საქარბ. #210)

თვითმფრინავი ბაზირებულია საქართველოში და რეისების აბსოლუტური უმრავლესობა ხორციელდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან. ასევე ავიაკომპანია ახორციელებს საერთაშორისო რეისებს მესამე ქვეყნებს შორის.

ჯგუფის ოპერირების ძირითადი არეალია აზია, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკის კონტინენტი.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჩარტერული რეისების შესრულებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგენდა **33,542,508** ლარი ხოლო (**2019 : 20,527,011 ლარი**).

ავიაკომპანიის დამატებითი შემოსავლები:

ჯგუფი ასევე ახორციელებს სხვა საჰაერო ხომალდების მიწისზედა მომსახურებას (ჰენდლინგური მომსახურება) და მიმდინარე პერიოდში ამ მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **1,003,650** ლარი ხოლო (**2019: 0 ლარი**).

კაპიტალური და მიმდინარე რემონტები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთრებაში არსებულ საჰაერო ხომალდს, ძირითად აგრეგატებს და მათ მაკომპლექტორებს (ძრავები, დამხმარე ძალური დანადგარები, საბურავები, მუხრუჭები და ა.შ.) ესაჭიროებათ როგორც კაპიტალური, ასევე მიმდინარე რემონტი.

კერძოდ თვითმფრინავს (ფუზელაჟი), ძრავებს და სხვა მაკომპლექტორებს გააჩნიათ საათობრივი, კალენდარული და ციკლური რესურსები, რომელთა მომსახურების ვადებს რემონტის შემდეგ ანიჭებს შესაბამისი ლიცენზირებული ქარხანა.

გამომდინარე იქედან რომ საქმიანობა არის მკაცრად რეგულირებადი, საჰაერო ხომალდების და მათი აგრეგატების დანიშნული საათობრივი ან კალენდარული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში, ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებული წესების, მწარმოებელი და სარემონტო ქარხნების რეგლამენტის გათვალისწინებით შესაძლებელია რემონტთაშორისი რესურსის გაგრძელება ან მათზე კაპიტალური რემონტის განხორციელება. სრული რესურსის ამოწურვის შემთხვევაში ხდება მათი ჩამოწერა, რაც ასევე მკაცრად რეგლამენტირებულია და მათი შეფასება წარმოებს შესყიდვის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქტივების რემონტის ხარჯების გაწევა კომპანიისათვის მნიშვნელოვანი დანახარჯებია, რაც ყოველწლიურად სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული.

შპს „ავიაკომპანია იზი ჩარტერი“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის შემოსავალმა შეადგენდა 34,627,476 ლარი ხოლო (2019 : 20,529,226 ლარი). შემოსავლის 97% შეადგენს ჯგუფის საკუთრებაში არსებული თვითმფრინავით შესრულებული ჩარტერული რეისების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს. დეტალები იხილეთ ავიაკომპანიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის	2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის
შემოსავალი	34,627,476	20,529,226
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(22,753,384)	(19,595,043)
საერთო მოგება	11,874,092	934,183
ადმინისტრაციის ხარჯები	(1,223,404)	(692,304)
სხვა შემოსავალი	77,999	2,215
სხვა ხარჯი	(803,311)	-
საოპერაციო მოგება	9,925,376	244,094
ფინანსური ხარჯი, ნეტო	(187,397)	-
წმინდა ზარალი საკუთროს სხვაობიდან	(165,817)	(26,081)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი	(515,050)	-
არასაოპერაციო ხარჯები/(შემოსავლები)	-	(1,158)
მოგება დაბეგვრამდე	9,057,112	216,855
მოგების გადასახადი	(28,150)	-
წლის წმინდა მოგება	9,028,962	216,855
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის სრული შემოსავალი	9,028,962	216,855

შპს „ავიაკომპანია იზი ჩარტერი“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9,506,518	73,591
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,506,518	73,591
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	92,403	39,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	274,311	1,462,405
სხვა აქტივები	-	2,521
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,780,509	459,708
სულ მიმდინარე აქტივები	2,147,222	1,963,964
სულ აქტივები	11,653,740	2,037,555
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	279,305	-
გაუნაწილებელი მოგება	10,449,381	1,568,492
სულ კაპიტალი	10,728,686	1,568,492
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	65,532	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	65,532	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	847,265	469,063
სესხის მიმდინარე ნაწილი	8,941	-
საგადასახადო ვალდებულება	3,316	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	859,522	469,063
სულ ვალდებულებები	925,054	469,063
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	11,653,740	2,037,555

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებელი

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.39	4.10
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.50	4.19

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელია 9% (2019 წელი - 30%).

ჯგუფის როგორც მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ისე სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი მისაღებ საზღვრებშია (2-ზე მაღალი).

ჯგუფის რენტაბელობის მაჩვენებლები

	2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის
საერთო მოგების მარჟა	34%	5%
წმინდა მოგების მარჟა	26%	1%
პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	48	N/A

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

უკუგებაში გამოყენებულ კაპიტალზე მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე შეადგინა - 84% (2019 წელს - 14%)

ჯგუფმა 2020 წელს მისაღები მომგებიანობა აჩვენა განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში, რაც შესაბამისად აისახა მომგებიანობის და პროცენტის დაფარვის კოეფიციენტებში. ჯგუფის მომგებიანობა არ ყოფილა მოულოდნელი იქედან გამომდინარე რაზეც საუბარია ქვემოთ, ჯგუფის მიერ მემკვიდრეობით მიღებული გამოცდილების თაობაზე.

2020 წლის ბოლოსათვის ჯგუფის აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 11,653,740 ლარი ხოლო (2019 წლის მდგომარეობით 2,037,555 ლარი).

ჯგუფის განვითარების გეგმები და კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ავიაკომპანიად ჩამოყალიბებამდე, ჯგუფი ახორციელებდა სატვირთო საჰაერო გადაზიდვებს სხვადასხვა ნაქირავები თვითმფრინავებით, რამაც საშუალება მისცა შეერჩია მისი ბაზრისთვის საუკეთესო საჰაერო ხომალდი, ტვირთამწეობის, მოცულობის, ფრენის მანძილის მიხედვით.

ამ პროცესის გავლის შემდგომ ინვესტირებთან ერთად გადაწყდა საჰაერო ხომალდის შეძენა და ავიაკომპანიის დაფუძნება, რომელიც უკვე მისთვის მომზადებულ, კარგად შესწავლილ და ადაპტირებულ ბაზარზე გააგრძელებდა ფუნქციონირებას.

ამავდროულად ჯგუფის მენეჯმენტმა მოახერხა ძირითად ადგილობრივ დამკვეთებთან კარგი საქმიანი ურთიერთობების დამყარება, რაც ჯგუფის მიერ სტაბილურად მიწოდებული მაღალი ხარისხის მომსახურების შედეგი იყო.

მესამე ქვეყნებში საერთაშორისო რეისები კი ძირითადად ხორციელდება ე.წ. „ცხელ წერტილებში“ გაეროს, ეუთოს, წითელი ჯვრის, ნატოს მისიების და სხვადასხვა სახელმწიფოების მთავრობების სპეციალური პროგრამების (მტკიცე მხარდაჭერის მისია, გაეროს სამშვიდობო ძალები აფრიკაში და ა.შ.) ტვირთის ტრანსპორტირებას. ამავდროულად, გარდა ზემოთხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა, საქმიანობის განხორციელებისას ძირითად დამკვეთებად გვევლინებიან საავიაციო ბროკერები, რომელთა რაოდენობაც შეზღუდულია საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე და რამდენიმე ათეულს არ სცდება. ჯგუფი მისი სამუშაო ხანგრძლივობიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე ცნობილია ყველა ძირითადი ბროკერისთვის და პირიქით. ინფორმაცია ამ ხასიათის ბაზრის კონიუქტურის თაობაზე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ავიაკომპანიისთვის ცნობილი ხდება უშუალოდ ბაზრის (ბროკერების) მონაწილეებისგან, რაც სრულიად გამორიცხავს ავიაკომპანიის მხრიდან ამ ტიპის ბაზრის კვლევისთვის კონსალტინგური ორგანიზაციების ჩართვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჯგუფისთვის ცნობილია ამ ტიპის ბაზრის სამომავლო შესაძლებლობები და მოთხოვნები:

2021 წლისთვის კვლავ აქტუალური იქნება ავღანეთის ბაზარი და მზარდი მოთხოვნა ახლო აღმოსავლეთში, ასევე აფრიკის სახელმწიფოებში გაეროს, ნატოს, World Food Program -ის ფარგლებში

2. ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა (გაგრძელება)

სატვირთო გადაზიდვები. ამ პროგრამებში დასასაქმებლად კვლავ მოთხოვნილია ჯგუფის საჰაერო ხომალდი.

ჯგუფმა 2021 წლის სექტემბერში მიიღო ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს აღიარება (TCO) რამაც მოიცვა მთელი ევროპის რეგიონში ფრენების უფლება და ბაზარი მნიშვნელოვნათ გაიზარდა რამაც მოიტანა ჯგუფისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ევროპაში ფრენების უფლება მოგვეცა, არამედ ეს ჩვენთვის საკუთარი რეისების უსაფრთხოების სტანდარტის ხაზგასმაა. ამ აღიარებიდან ათ დღეში ევროპაში პირველი რეისიც შევასრულეთ, გარდა ამისა, გავიარეთ ჰონკონგის მაკაუს სერტიფიცირებაც, რომელიც ასევე არ არის მარტივი მისაღწევი. ამ ყველაფრის შედეგად, ამჟამად კვირაში ორჯერ ჰონკონგიდან ბარსელონაში დავფრინავთ. ეს იმდენად დიდი რეისია, რომ ჩვენი თვითმფრინავი პრაქტიკულად 100%-ით დაკავებულია.

3. ჯგუფის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

აღნიშნული ტიპის საქმიანობის განსახორციელებლად ჯგუფისთვის შესაძლებელია პრობლემატური გახდეს შემდეგი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით:

ამ ეტაპისთვის შეჩერებულია ცოცხალი საქონლის ტრანსპორტირება, ვინაიდან ჩვენი კონკურენტი ამ მხრივ სომხეთი გახდა და ეს ბაზარი მთლიანად ამ ქვეყანაში გადავიდა. სომხეთმა გვაჯობა. ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის საკანონმდებლო. ასევე ისიც, რომ ირანმა სახმელეთო გზით ტრანზიტი გახსნა, შედეგად სომხეთიდან ირანში ხვდება ცოცხალი საქონელი დ რაც მნიშვნელოვანი ზიანი იქნება ჩვენი ბაზრისთვის.

ევროპის საავიაციო ხელისუფლების მიერ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების ფრენების შეზღუდვა მათ ტერიტორიაზე, რაც ავტომატურად გამოიწვევს ბევრ არა ევროპულ ქვეყანაში ჩვენი თვითმფრინავის ფრენის აკრძალვას. რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ჯგუფის ოპერირების არეალს. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული რისკი მხოლოდ დაშვებაა და მათი მოხდენის ალბათობა საკმაოდ მცირეა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მკაცრად აკონტროლებს საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისიანობის და ფრენების უსაფრთხოების სტანდარტებს, ასევე სურსათის უვნებლობის სააგენტოს ვეტერინარიის სამსახურის მიერ კარგადაა დაცული ცხოველთა ინფექციური თუ სხვა დაავადებები გავრცელების თავიდან ასაცილებლად საჭირო პრევენციული ღონისძიებები.

შპს ავიაკომპანია „იზი ჩარტერის“ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 17 დეკემბერს:

დირექტორი
რატი ძერია

